ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1/19

SMP170002043

ქ. ბათუმი *24 აგვისტო 2017*

ერთი მხრივ, ***ა(ა)იპ – თანამედროვე ხელოვნების სივრცე, მენეჯერის ანატოლი ძნელაძის*** სახით, (შემდგომში – "შემსყიდველი") და მეორე მხრივ შპს ,,სივრცე"-ს დირექტორი თამარ ვაშაკიძე (შემდგომში _ "მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის თანახმად:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ,,სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებუყლი მომსახურებები" (CPV- 79900000), სახელმწიფო შესყიდვა თანახმად N1 და N2 დანართებისა.

1.2. კლასიფიკატორის (CPV) კოდი ,,სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები" (CPV- 79900000).

1.3. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 10620 (ათი ათას ექვსა ას ოცი) ***ლარს.***

1.4. მომსახურების მოწოდების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია შემსყიდველი.

2.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

2.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

2.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3. მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 მიმწოდებელმა მომსახურების მოწოდება უნდა უზრუნველყოს თანახმად N1 დანართში მოცემული პირობებისა.

3.2 მომსახურების მიწოდების ადგილია - საქართველო (ბათუმი).

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, მომსახურების მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5. ანგარიშსწორება

5.1 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით;

5.2 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს ფაქტიურად მოწოდებული მომსახურების ღირებულება;

5.3 ანგარიშსწორება მოხდება მომსახურების მოწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;

5.4 წინასწარი ანგარიშისწორება ავანსი არ გამოიყენება;

5.5 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ მოწოდებული მომსახურების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს შემსყიდველის მიერ დადასტურებული აქტი.

5.6 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ მოწოდებული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია აუთვისებელ თანხაზე და მის გადახდაზე.

6.ფასები

6.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

6.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა

ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.4 ამ მუხლის მე-3პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესისდა მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. ხელშეკრულების ენა

10.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

12. სხვა პირობები

12.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13. მხარეთა რეკვიზიტები.

„შემსყიდველი“
ა(ა)იპ ”თანამედროვე ხელოვნების სივრცე”
ს/კ: 445440675
მის.: ზ.გამსახურდიას ქ. № 1/5.

ტ: 593 60 45 95
,,სახელმწიფო ხაზინა“
ბ/კ: TRESGE22
ანგ. № Ge24NB0330100200165022

ა(ა)იპ ”თანამედროვე ხელოვნების სივრცე”-ს
მენეჯერი
.....

„მიმწოდებელი“
შპს ,,სივრცე“
ს/კ:400179089
მის:ქ. თბილისი,
გურამიშვილის გამზ 25
ტ:+99599314213
საქართველოს ბანკი
BAGAGE22
ანგ. № GE93BG0000000672113300

შპს ,,სივრცე“-ს
დირექტორი
.....

დანართი N1

შესყიდვის აღწერილობა

ა(ა)იპ "თანამედროვე ხელოვნების სივრცეში" 2017 წლის 7 სექტემბერს იგეგმება ფოტო ფესტივალის გახსნა, სახელწოდებით : **"ოდესა/ბათუმი ფოტო დღეები".** აღნიშნული ღონისძიების ორგანიზების მიზნით მიმწოდებელმა სივრცის მენეჯერთან შეთანხმებით უნდა შეასრულოს შემდეგი მომსახურება:

1. **მომსახურეობა:** მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, 6 ხელოვანის ტრანსპორტირება - ავიაბილეთით უზრუნველყოფა :

1. 2017 წლის 6.09-11.09 მარშრუტით 1 ავიაბილეთი მინსკი-ბათუმი-მინსკის მიმართულებით;

2. 2017 წლის 5.09-11.09 მარშრუტით 2 ავიაბილეთი კიევი-ბათუმი-კიევის მიმართულებით .

3. 2017 წლის 6.09-11.09 მარშრუტით 3 ავიაბილეთი ბაქო-თბილისი-ბაქოს მიმართულებით .

2. **მომსახურეობა:** მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

- ✓ 1 ხელოვანის ტრანსპორტირება 2017 წლის 6.09-11.09 მარშრუტით ერევანი-ბათუმი-ერევანის მიმართულებით;
- ✓ 3 ხელოვანის ტრანსპორტირება მატარებლით 2017 წლის 6.09-11.09 მარშრუტით თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით ;
- ✓ 2 ხელოვანის ტრანსპორტირება მატარებლით 2017 წლის 4.09-11.09 მარშრუტით თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით;

3. **მომსახურეობა:** მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, გამოფენაში მოწვეული ხელოვანების სასტუმროში განთავსება ქ ბათუმში (სასურველია ,,თანამედროვე ხელოვნების სივრცე"-ს მახლობლად):

- ✓ 2 ხელოვანი 2017 წლის 5-11 სექტემბრის პერიოდით (2 პირი *6 ღამე * 1 ორადგილიანი ნომერი საუზმით).
- ✓ 1 ხელოვანი 2017 წლის 6-11 სექტემბრის პერიოდით (1 პირი * 5 ღამე * 1 ერთადგილიანი ნომერი საუზმით).
- ✓ 1 ხელოვანი 2017 წლის 6-11 სექტემბრის პერიოდით (1 პირი * 5 ღამე * 1 ერთადგილიანი ნომერი საუზმით).

- ✓ ორი ხელოვანი 2017 წლის 6-11 სექტემბრის პერიოდით (2 პირი * 5 ღამე * 1 ორადგილიანი ნომერი საუზმით).
- ✓ ერთი ფოტოგრაფი 2017 წლის 6-11 სექტემბრის პერიოდით (1 პირი * 5 ღამე * 1 ერთადგილიანი ნომერი საუზმით).
- ✓ 6 ადამიანი 2017 წლის 4-11 სექტემბრის პერიოდით (6 პირი * 7 ღამე * ჰოსტელი).
- ✓ 1 ფოტოგრაფი 2017 წლის 6-11 სექტემბრის პერიოდით (1 პირი * 5 ღამე * 1 ორადგილიანი ნომერი საუზმით).

4. მომსახურეობა: მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მოწვეული ხელოვანების ტრანსფერი.

5. მომსახურეობა: მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კლიპის დამზადება და ფეისბუქ ივენთების რეკლამირება.

6. მომსახურეობა: მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ჰონორარები

- ✓ ვიდეო და ფოტო გადაღება 1 ადამიანი - არაუმეტეს 200 ლარი. (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით).
- ✓ მოწვეული პროგრამების კორდინატორი 2 ადამიანი - თითოზე არაუმეტეს 350 ლარი. (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით).

ადგილი, ვადები პირობები:

1. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს წინამდებარე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ზემოხსენებულ ვადებში.

2. მომსახურების გაწევის ადგილი: საქართველო, ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. 1/5.

დანართი N2

ბიუჯეტი

სამუშაოს/მომსახურების საქონლის/ დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	სულ
ავიაბილეთი მინსკი-ბათუმი-მინსკი	1170	1	1170
ავიაბილეთი კიევი-ბათუმი-კიევი	850	2	1700
ავიაბილეთი ბაქო-თბილისი-ბაქო	400	3	1200
1 ხელოვანის ტრანსპორტირება ერევანი-ბათუმი-ერევანი	150	1	150
მატარებლის ბილეთი თბილისი-ბათუმი-თბილისი	25	10	250
სასტუმრო (2 უკრაინელ ხელოვანზე, 1 ორადგილიანი ნომერი)	150	6 დღე/ღამე 1 ნომერი	900
სასტუმრო (სომეხი ფოტოგრაფი, 1 ერთადგილიანი)	120	5 დღე/ღამე 1ნომერი	600
სასტუმრო (ერთი ბელორუსი ფოტოგრაფი, 1 ერთადგილიანი)	120	5დღე/ღამე 1ნომერი	600

სასტუმრო (ორი აზერბაიჯანელი ხელოვანი, 1 ორადგილიანი)	150	5დღე/ღამე 1ნომერი	750
სასტუმრო (აზერბაიჯანელი ფოტოგრაფი, 1 ერთადგილიანი)	100	5დღე/ღამე 1ნომერი	500
სასტუმრო ჰოსტელი 6 ადამიანზე	20	7 დღე/ღამე	840
სასტუმრო (ორი ქართველი ფოტოგრაფი, 1 ორადგილიანი ნომერი)	120	5 დღე/ღამე 1ნომერი	600
ჰონორარი ვიდეო და ფოტო გადაღება	200	1	200
ჰონორარი მოწვეული პროგრამების კორდინატორი	350	2	700
ტაქსით დახვედრა გაცილება	10	6	60
კლიპის დამზადება	200	1	200
ფეისბუქის ივენთის რეკლამირება	200	1	200
			ჯამი:10620